ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4291640

ნომერი: AR1647460

თარიღი : 30.11.2018

გაცემის თარიღი : 05.12.2018

გაცნობის თარიღი : 06.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხატია სამხარაძე პ/ნ 59001099261
- საქართველო, გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გორი, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, N 6

ორგანიზაცია:

- სენტა ინსპექტირების ცენტრი კოდი: 404547771

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, სამსახურის შესაძლებლად არ მიაჩნია აღნიშნულ ტერიტორიაზე მსგავსი სახით სარეკლამო კონსტრუქციის განთავსება. შესაძლებელია საპროექტო სარეკლაბო აბრის განთავსება განხორციელდეს ჰორიზონტალურად, გრძივი სახით (ღობის გაყოლებაზე) და შემცირებული სიმაღლით.
- არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შპს „ტესტ-სერვისის“ უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებლის სახლზე გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში ან დარეგისტრირდეს უფლებამოსილი პირი თანაგანმცხადებლად.

იმ შემთხვევაში თუ სოფლის ნობათის სარგებლობით აღებულ ფართობს ეხება სამუშაოები, წარმოდგენილ უნდა იქნას უფლებამოსილი პირის მიერ სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა ან განახლებულ იქნას ამონაწერი და მისი სარგებლობა აღარ ფიქსირდებოდეს, ასევე უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.